




**კონკურსის  
„ბახდი ბესტსელერის ავტორი“  
გამარჯვებული**



# მოქართული სიყვარული



თინათინ ბერიძე

გამომცემლობა პალიტრა L


რედაქტორი ლია თოფურია  
დიზაინერი თეკლა გიაშვილი  
კორექტორები: ნანა ბარბაქაძე, მარინა ინანიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ნატალია ახვლედიანი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა სოფიო ვაშაკიძე

© თინათინ ბერიძე

© გამომცემლობა პალიტრა L, 2020  
ყველა უფლება დაცულია

---

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. 49

 238-38-71

 [book@palitra.ge](mailto:book@palitra.ge)

 [www.palitra.ge](http://www.palitra.ge)

ISBN 978-9941-32-110-8



ქარის ყველაფერი, რაც ტექსტს კარგ საკითხავ პროზად აქცევს: ინტრიგა, ამბის დინამიკა, თხრობის სისადავე, სიუჟეტის სიმსუბუქე, ფსიქოლოგიური კოლიმიები.

ავტორს არც სითამამე აკლია, არც გონებამახვილობა და არც კეთილგონიერება, რათა იყოს დამაჯერებელი და საინტერესო.

გართობით დაწყებული ამბავი მკაცრ, დაუნდობელ თამაშად გადაიქცევა და ეს არც არის გასაკვირი, რადგან თვითონ სიყვარულია დაუნდობელი. ჩვენ თვალწინ თამაშდება ინფორმატიკული მელოდრამა: ვირტუალური სივრცე მტვერსასრუტივით ისრუტავს ობიექტური რეალობის ნამსხვრევებს და შემდეგ ეს ვირტუალური სივრცე ობიექტურ რეალობად გადაიქცევა.

ეს – ბოლოს. დასაწყისში იყო სიტყვა, სამი სიტყვა, რომელმაც შეცვალა გმირების ცხოვრება.

*ივანე ამირხანაშვილი  
ლიტერატორი, კონკურსის ჟიურის წევრი*

„მოპარული სიყვარული“ თინათინ ბერიძის სადებიუტო წიგნია, რომელიც ჩახლართულ, გრძნობებით, ვნებებითა და ინტრიგებით აღსავსე ამბავს მოგიყვებათ.

ერთი შეხედვით, უწყინარი ტყუილი, რომელიც ადამიანების ცხოვრებას ცვლის, ადამიანური სისუსტეები, ტრაგედიები, რომლებიც წარსულისგან თავის დაღწევის საშუალებას არ გვაძლევს, მომავალი, რომელსაც იმედით შევცქერით – დებიუტანტმა ავტორმა წარმატებით მოახერხა, ეს ყველაფერი შეეზავებინა და ჩვენამდე ერთ ტექსტად მოეტანა. „მოპარული სიყვარული“ მსუბუქად საკითხავი წიგნია, რომელიც შეგიძლიათ, ზამთრის ან ზაფხულის არდადეგების თანამგზავრად აქციოთ, ან მორიგი ფრენისას დაიმგზავროთ – მოწყენა ნამდვილად არ გემუქრებათ.

**სალომე ბენიძე**  
**მწერალი, თინათინ ბერიძის მენტორი**

მოქსნუელი  
სიყვანუელი

თინათინ ბერიძე



ერთმა უწყინარმა ფრაზამ, სულ რაღაც სამმა სიტყვამ ჩემი ცხოვრება შეცვალა. პირდაპირი მნიშვნელობით, თავდაყირა დააყენა. რა გგონიათ, რა არის ეს სამი სიტყვა? „მე შენ მიყვარხარ“, „შენ მოიგე მილიონი“ ან „ცოლად გამომყვები“? (ეს სულაც ორი სიტყვაა) არა! ეს სიტყვებია: „მე ორსულად ვარ“. აი, ასე.

ყველაფერი კი აქედან დაიწყო.

მე და ჩემი მეგობარი, ლაია, Facebook-ის ერთ-ერთ გვერდზე წავანყდით ასეთ სტატუსს: **„მოინწყინე? უბრალოდ, გაგზავნე ტექსტი „მე ორსულად ვარ“ ნებისმიერ ნომერზე და დაელოდე.“** ჩვენ ორნი ერთნაირად გიჟები ვიყავით, გვემართებოდა ხოლმე – ამოვიჩემებდით რაიმეს და ვიცინოდით გულისწასვლამდე. ზოგჯერ მიზეზიც არ გვჭირდებოდა, ერთმანეთისთვის შეხედვაც საკმარისი იყო. ახლაც ასე მოხდა, იმდენად მოგვეწონა ეს სტატუსი, გიჟებივით ავხარხარდით.

– ასეთი შეტყობინება რომ მოგივიდეს, რას გააკეთებ? – მკითხა ლაიამ, ცოტა სული რომ მოითქვა.

– ჩემგან ორსულად არავინ იქნება და, აბა, რა უნდა გავაკეთო? – სიცილი გავაგრძელე.

– და ჩვენ რომ გავუგზავნოთ ვინმეს? – ეშმაკურად ჩაიცინა ლაიამ.

– არააა! – ისევ ავხარხარდი, მაგრამ ლაიას სახის დანახვაზე სიცილი შევწყვიტე. მგონი, არ ხუმრობდა და დაიწყო კიდევ გეგმის შედგენა.

ლაიამ პრინციპი ცოტათი შეცვალა, მთლად შემთხვევით აკრეფილ ნომერზე გაგზავნა გოიმობააო,

დაასკვნა. ბიჭის ნომერი უნდა იყოს, რომ გავხალისდეთო, და დავინწყეთ ძებნა. ლაიამ შეადგინა რალაც ცხრილი, ციფრები გადაანანილა (რა პრინციპით, აზრზე არ ვარ). მე ციფრებს ვკარნახობდი, ლაია კი ცდილობდა, მობილურის ნომრები შეედგინა. გეგმა ასეთი იყო: სპეციალური პროგრამის მეშვეობით, რომელიც მობილური ნომრების ბაზას ეყრდნობოდა, გავიგებდით მის სახელს (თუ გაგვიმართლებდა, გვარსაც), ვისაც ეკუთვნოდა ეს ნომერი, Viber-ით ვნახავდით ფოტოს, ფოტოთი და სახელით სოციალური ქსელში მოვძებნიდით და ა.შ. გეგმამ არ იმუშავა, ზოგი ნომერი გოგოს ეკუთვნოდა, ზოგი Viber-ით არ სარგებლობდა, ზოგს ფოტო არ აღმოაჩნდა. მომბეზრდა ეს თამაში და შემთხვევით ვუკარნახე ნომერი: 5\*\* 007 007. მობილური ნომრების ბაზას თუ დავუჯერებთ, ეს ნომერი ეკუთვნოდა ვინმე ლევანს. ვინც ეს პროგრამა იცით, მიხვდებით, რა პრინციპით გვთავაზობს სახელებს, ლევანი სხვადასხვა ვარიანტით შემოგვთავაზა – ლეო, ლევიკო, ლევანა, ლევან ქართველი, ლეო-ბარი და ა.შ. მე ტელეფონში ნომერი შევიყვანე სახელით „ბონდი“, მაგრამ გაგზავნა ველარ გავბედე. რომ დავფიქრდი, სულაც არ იყო სახალისო ასე გართობა. მართლა არ მინდოდა, ვინმესთვის ცხოვრება ამერია. არასრულწლოვანი რომ ყოფილიყო ან პირიქით, ბაბუის ასაკის? ცოლი რომ ჰყოლოდა? იმის წარმოდგენაც არ მინდოდა, როგორ მათრევედა მისი ცოლი თმით. მშიშარა არ ვარ, მაგრამ ვერც ეჭვიან ცოლს შევებრძოლები – მსმენია მათი ძალების შესახებ. მოკლედ, ბევრი „ან“ იყო და, მეგობრის მუდარის მიუხედავად, გადავიფიქრე.

როგორც მერე აღმოჩნდა, არა სამუდამოდ.